Tbilisi Tourism Centre / თბილისის ტურიზმის ცენტრი
404905910

ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ:

შპს "თბილისის ტურიზმის ცენტრი" (ს/ნ 404905910) რეგისტრირებულია 2011 წლის 08 აგვისტოს.

იურიდიული მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის 26/3 ბ,15

ფაქტიური მისამართი: თბილისი, ზემო ვეძისის დასახლება

დირექტორი: მალხაზ ფავლენიშვილი (პ/# 01009011590)

1. საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცხოვრებელი კორპუსების შენებას და რეალიზაციას.

2. წარმოდგენილი ფინასური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად. საწარმოსათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წ-ს 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაცია 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წ-ს 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

4. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგრიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი "მეწარმეთა შესახებ" და კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, მსს ფასს სტანდარტები, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამით. საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან.

6. ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით,შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

7. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით.

9. კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამშენებლო მასალებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

10. შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

11. საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელი მოგებას.

12. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს თბილისის ტურიზმ
საქართველო • GEORGIA
TTC
404905910
TBILISI TOURISM CENTRE

შპს "თბილისის ტურიზმის ცენტრი" 404905910

ფინანსური მდგომარეობა	31-12-18	31-12-17	31-12-16
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	307246	5463	9364
სავაჭრო მოთხოვნები	184	40368	55696
გადახდილი ავანსები	477453	568984	551518
მარაგები	**3629566**	**2629955**	**823421**
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	3629566	2629955	823421
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	**0**	**0**	**0**
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	0	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	888231	1059647	1183391
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	**5302680**	**4304417**	**2623390**
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	128047	51114	4178
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	-18832	-7075	-98252
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	312665	1026086	1124201
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3565122	2262602	1869867
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	934690	3346444	851619
სულ ვალდებულებები	**4921692**	**6679171**	**3751613**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	380988	-2374754	-1128223
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	**380988**	**-2374754**	**-1128223**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**5302680**	**4304417**	**2623390**

შპს * TBILISI TOURISM CENTRE LTD * 404905910 საქართველო • GEORGIA

შპს "თბილისის ტურიზმის ცენტრი" 404905910

საქმიანობის შედეგები	2018	2017
ნეტო ამონაგები	***5341383***	***1105015***
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	5341383	1105015
სხვა	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	***-2561198***	***753141***
საწყისი მარაგები	*-2629955*	*-823421*
მარაგების შესყიდვა	-2211654	-2253705
გადამუშავების დანახარჯები	-1349155	1200312
საბოლოო მარაგები	*3629566*	*2629955*
საერთო მოგება	***2780185***	***1858156***
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-60541	-32000
ცვეთა და ამორტიზაცია	-4416	-3680
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	1443162	272695
იჯარის ხარჯი	-3729	-6519
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-59903	-9341
სულ საოპერაციო ხარჯები	***1314573***	***221155***
საოპერაციო მოგება	***4094758***	***2079311***
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-1986761	-1594161
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	***2107997***	***485150***
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	***2107997***	***485150***
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	***0***	***0***
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	***2107997***	***485150***
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	*-2374754*	*-1128223*
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	2755742	-1246531
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	***380988***	***-2374754***

შპს "თბილისის ტურიზმის ცენტრი" 404905910

ფულადი სახსრების მოძრაობა	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	301783	307246
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	***301783***	***307246***
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	*5463*	*9364*
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	***307246***	***316610***

შპს თბილისის ტურიზმის ცენტრი
საქართველო • GEORGIA
TTC
404905910
TBILISI TOURISM CENTRE LTD